ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №658273

ნომერი: AR1122222

თარიღი : 04.04.2013

გაცემის თარიღი : 24.04.2013

გაცნობის თარიღი : 25.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექარი კინწურაშვილი პ/ნ 01030015381
- თბილისი, მარჯანიშვილის #67

ორგანიზაცია:
- შპს პოლიპრინტი კოდი: 202286383

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენბის პირობებში ცვლიელბისა და დამატების შეტანის თაობაზე

04/04/2013 წელს AR1122222 განცხადებით ქალაქ თბილისის მერიის სსიპ–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა ბექარი კინწურაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენბის პირობებში ცვლიების შეტანა მიწის

ნაკვეთის გამიჯვნის გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისაწვლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დავით აღმაშენებელი ხეივანი N 6–ში, საყოფაცხოვრებო–საზოგადოებრივი ობიექტის ასაშენებლად დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აქტი გაცემულ იქნა 54472 კვ.მ ფარტობის მქონე 01.72.14.032.543 საკადასტრო ერთეულზე.
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მომზადებული საკადასტრო გეგმის (მომზადების თარიღი:22.03.13, საკადასტრო კოდი: 01.72.14.032.598, განაცხადის რეგისტრაცია #882013120255) საფუძველზე დგინდება, რომ გაიმიჯნა საპროექტო ტერიტორია, კერძოდ: ფართობმა შეადგინა 13893 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი გახდა – 01.72.14.032.598.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართი მიეთითოს – 13893 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი გახდა – 01.72.14.032.598;

2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენბის პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან – (მომზადების თარიღი:22.03.13, საკადასტრო კოდი: 01.72.14.032.598, განაცხადის რეგისტრაცია #882013120255);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 31 აგვისტოს #331989 გადაწყვეტილებით დადგენილ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენბის პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.